სს. კოდი: 190020020.35.121.016364
გამოქვეყნების თარიღი: 22.02.2019

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N 9
2019 წლის 20 თებერვალი
ქ.ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშ ტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვთმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ,,დ.დ“ და ,,დ.ე“ ქვეპუნქტების, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის და 23-ე მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულეაით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 03.01.2018 წელი, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.121.016268) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“.
2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართი N1-ის შესაბამისად.“
3. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურება დანართი N2-ის შესაბამისად.“
4. დადგენილების დანართი N1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები“.
5. დადგენილების დანართი N2-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა“.

6. დადგენილების დანართ N2-ში სამსახურის დასახელება „შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური“ შეიცვალოს და ჩაიწეროს „შიდა აუდიტის სამსახური“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე